პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

 სამშაბათი 21 ნოემბერი 1978 წ. № 271 (17315) ფასი 2 კაპ.

ლენინური მეგობრობის ერთგულნი

სურათზე: სოციალისტური შეჯიბრებისა და მეგობრობის იუბილეს აღსანიშნავად უკრაინელმა და ქართველმა კოლმეურნეებმა შრომის კოლმეურნეობის „მეგობრობის ბაღში“ 40 ციტრუსის ნერგი დარგეს.

ნ. ანასტასიეფის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სტარტზე — მთელი ოჯახით

ვინრა დღე სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ კვირის ყველაზე სპორტულ დღედ. ზოგი მთელ ოჯახთან ერთად ტურისტულ ლაშქრობაში მიდის, ზოგი კი იქ — სადაც თოვლი მოვიდა, — თხილამურებით გასეირნებას ამჯობინებს, ზოგიც დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე გამოდის, აუზისაკენ მიეშურება. სტადიონებზე, სპორტულ ბაზებზე, სათამაშო მოედნებზე, ბაღებსა და პარკებში დღეს ნახავთ სხვადასხვა სახეობის სპორტის თაყვანისმცემელ „საოჯახო გუნდებს“.

ფიზიკური კულტურა ახალი ადამიანის ჰარმონიული აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა. სოციოლოგიურ კვლევა მოწმობს, რომ ადამიანები, რომლებიც აქტიურად ისვენებენ, გამოირჩევიან ჯანმრთელობით, შრომის მაღალი ნაყოფიერებით, უფრო მკაცრი დისციპლინით, უფრო წარმატებითაც სწავლობენ. სპორტის მიმდევართა რიგები ჩვენში ყოველწლიურად იზრდება, და ისინი, ვინც საკუთარი გამოცდილებით, დარწმუნდა, თუ რაოდენ სასარგებლოა ფიზკულტურა, ცდილობენ მასში ჩაბმან თავიანთი ახლობლები, განსაკუთრებით ბავშვები ადრეული ასაკიდან.

აქ ისევე, როგორც ყველა საქმეში, ძალიან ბევრს ნიშნავს პირადი მაგალითი. თუ მშობლები დილას ტანვარჯიშით იწყებენ, თუ შინ უქმად არ დევს ველოსიპედი და თხილამურები, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ შვილები სპორტისადმი გულგრილი არ იქნებიან, მაშასადამე, ისინი უფრო ჯანმრთელი აღიზრდებიან, სკოლის ნიშნებიც უკეთესი ექნებათ, და არა მარტო ფიზკულტურაში. ამასთან საერთო ინტერესები, მეცადინეობა უფრო აკავშირებს საზოგადოების ძირითად უჯრედს. შემოხვევითი როდია, რომ შეჯიბრება — „დედა, მამა და მე სპორტული ოჯახი ვართ“ — ჩვეულებრივად მხიარულ დღესასწაულად იქცევა ხოლმე უფროსებისთვისაც და ბავშვებისთვისაც.

მასობრივ სპარტაკიადათა პოპულარობა ამ დევიზით თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. სწორად იქცევიან ფიზკულტურული ორგანოები, რომლებიც ეძებენ ამგვარი ტურნირების ახალ ფორმებს. „ჯანმრთელობა, მაგალითად, დიდად პოპულარულები ყოფილან „მთელი ოჯახით სტარტზე!“. სევასტოპოლელებს შეუუყვანიათ სპარტაკიადები „ჯანმრთელობა“, რომლებშიც ყველას შეუძლია მონაწილეობა. ბევრი ასეთი შეჯიბრება ეწყობა ესტონეთში, სადაც წლის პირველი ნახევრის შედეგებით 10-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის თითქმის 39 პროცენტი მშთ-ს ნიშნოსანი გახდა. ამ საყურადღებო გამოცდილებით კარგი იქნებოდა ეცადნენ საქართველოსა და თურქმენეთში, ხაბაროვსკის მხარეში, იაროსლავლის, ირკუტსკის მთელ რიგ სხვა ოლქებში, სადაც საოჯახო სტარტები ჯერჯერობით იშვიათობაა.

აქტიური საკვირაო დასვენების ორგანიზაცია ბევრად არის დამოკიდებული ფიზკულტურული კოლექტივების, ადგილობრივი სპორტული კომიტეტების ინიციატივაზე. შეჯიბრებათა განრიგში უფრო ხშირად უნდა შევიტანოთ ოჯახების გამოსვლები სარბენ ბილიკებზე, სათხილამურობასა და საცეკვაოებზე, საკოლმეურნეო და საამქრო ტურნირებში მივიწვიოთ ხოლმე ბავშვთა გუნდები — დაე, ჯერ ბავშვებმა ტრიბუნიდან დაუჭირონ მხარი უფროსებს, შემდეგ კი თვითონაც გამოცადონ თავი სიმარდეხა და ძალაში. მშთ ნორმების ჩაბარების დროს მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ უფროსებისა და ნორჩების ერთობლივი ასპარეზობა. მაგრამ ნიშნოსანთა მასობრივი სომზადების ამგვარი ფორმები, ჩვეულებრივ, არ იგეგმება, „საოჯახო გუნდები“ ჯერ კიდევ იშვიათად ხვდებიან „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ კომპლექსის საბჭოების ყურადღების სფეროში.

ფიზკულტურაში საოჯახო მეცადინეობისათვის ჩინებული ადგილია ეზოს სპორტული მოედანი, „ჯანმრთელობის ტრასა“ ან განათებული ნათხილამურევი უახლოეს პარკში. ყველა ასაკის ადამიანის ფიზკულტურული მეცადინეობის ასეთი უმარტივეს ნაგებობათა ქსელი ყველგან უნდა გაფართოვდეს. უკვე ახლა საცხოვრებელ მიკრორაიონებში უნდა მომზადდეს ფართობები საცეკვაოებისა და პოეკის მოედნებისათვის, გაიწმინდოს მომავალი სათხილამურო ტრასები, საჭიროა ზრუნვა მათი განათებისათვის. და, რა თქმა უნდა, წინასწარვე უნდა შედგეს შეჯიბრების გრაფიკები, ისე, რომ მათში მოხუცეც მონაწილეობდეს და ახალგაზრდაც.

სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა განვავითაროთ მასობრივი ფიზკულტურა და სპორტი არა მარტო საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, არამედ მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებზეც. მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში ამ საკითხებისადმი მიძღვნილ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე სერიოზული ყურადღება ეთმობა მიკრორაიონების სპორტული ბაზების გაფართოებას. როგორც საცხოვრებელ ადგილას ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის საკავშირო დათვალიერება-კონკურსმა ცხადყო, ბევრი რამ გაუკეთებიათ გომელში, ლვოვში, პერმში, კიროვო-ჩეპეცკში, არსენიევში, ზოგიერთ სხვა ქალაქში. 60 ათასზე მეტი ეზოს მოედნის გარდა ჩვენში ახლა დაახლოებით 15 ათასი შენობაა, რომლებიც მომარჯვებულია „ჯანმრთელობის ოთახებისა“ და სპორტული დარბაზებისათვის. ყურადღებას იმსახურებს ბაქოს ნარიმანოვის რაიონის გამოცდილება, სადაც საწარმოებისა და დაწესებულებების წილობრივი მონაწილეობით აშენებულია სპორტულ-გამჯანსაღებელი ცენტრი, რომელსაც აქვს სტადიონი, აუზი, სათამაშო დარბაზები და სხვა ნაგებობანი. მაგრამ ასეთი ნაგებობების, სხვადასხვაგვარი სპორტული მოედნების ქსელი ჯერჯერობით ნელა იზრდება. მაგალითად, კიშინიოვში, ტიუმენში, ვლადივოსტოკში, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სუსტ გავლენას ახდენენ იმაზე, რომ მშენებლები ასრულებდნენ მიკრორაიონების განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის დროს სპორტულ ნაგებობათა სავალდებულო აშენების მოთხოვნებს.

პრაქტიკა მოწმობს, რომ საქმე იქ მიდის წარმატებით, სადაც პარტიული კომიტეტები დღენიადგ ყურადღებას არ აკლებენ მშრომელებისა და მათი ოჯახების მასობრივი დასვენების ორგანიზაციის საკითხებს, წარმართავენ და კონტროლს უწევენ კომუნისტთა მუშაობას, რომლებიც პასუხს აგებენ სპორტის განვითარებისათვის. მაგალითად, ბაშკირეთის საოლქო კომიტეტი, მინსკის საქალაქო კომიტეტი და ბევრი სხვა პარტიული კომიტეტი სულ უფრო ფართოდ ამბობენ აქტივს ამ საკითხების გადაწყვეტაში.

მაგრამ ხდება ხოლმე, რომ მოედნებიც არის, სექციებიც შექმნილია სპინინა-საეკსპლოატაციო კანტორებთან, მაგრამ აკლიათ მწვრთნელები, ინსტრუქტორები. აქ აქტიური როლი უნდა შეასრულონ სპორტულმა საზოგადოებებმა, ფიზკულტურის ინსტიტუტებმა, რომლებმაც მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას სამუშაოდ უნდა გაგზავნონ შეფები — სპორტის ოსტატები და პიროველობრნენები. სპორტული კომიტეტები, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭო უფრო მეტად უნდა ზრუნავდნენ მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის განვითარებისათვის, ყველა ასაკის ადამიანის მშთ კომპლექსით შეჯიბრებაში და წვრთნაში ჩაბმისათვის.

ჩვენს კვეყანაში ათეულმილიონობით ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულია. დაე, მრავლდებოდეს საოჯახო სტარტების რიცხვი, დაე, მის ყველა მონაწილეს თან სდევდეს წარმატება!

ბროშურად გამოიცა

პოლიტიზრი ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა „ოქტომბრის დიდი იდეების მემკვიდრეობითი ძალა“. მასში გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოხსენება საზეიმო სხდომაზე, რომელიც 1978 წლის 4 ნოემბერს გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 61-ე წლისთავის აღსანიშნავად. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვაზე

კითხვა: როგორ აფასებთ უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები, ერევიან ირანის ამბებში და შესაძლოა იგი სამხედრო ჩარევადაც კი გადაიზარდოს?

პასუხი: მართლაც, იბეჭდება ასეთი ცნობები, კერძოდ, წერენ, რომ ზოგიერთი სახელმწიფო სამხედრო ჩარევას აპირებს. თანაც არ შეიძლება არ დაგვაფიქროს შემდეგმა ფაქტმა: იმ სახელმწიფოთა ოფიციალური პირნი, რომლებზეც ლაპარაკია, ფაქტიურად არ უგულებელყოფენ ამგვარ ცნობებს. თუკი უარყოფენ კიდეც ირანის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდებს, როგორც ეს ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ქნა, მაშინვე დასძენენ ხოლმე შენიშვნებს, რომლებიც სრულიადაც არ გამორიცხავს შესაბამისი საბაბით ამგვარი ჩარევის შესაძლებლობას.

საბჭოთა კავშირი, რომელსაც ირანთან ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს, გადაჭრით აცხადებს: იგი წინააღმდეგია ირანის საშინაო საქმეებში ყოველგვარი ჩარევისა, განურჩევლად იმისა, თუ ვინ ერევა, რა ფორმით და რა საბაბით. ამ ქვეყანაში წმინდა შინაურული ამბები ხდება, და ამასთან დაკავშირებული საკითხები თვით ირანელებმა უნდა გადაწყვიტონ. აქ ყველა სახელმწიფომ უნდა დაიცვას პრინციპები, რომლებიც მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა ფუძემდებელ საერთაშორისო დოკუმენტებში, პატივი უნდა სცეს ირანის, ირანელი ხალხის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას.

ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ სსრ კავშირი ყოველგვარ, მით უმეტეს სამხედრო ჩარევას ირანის — იმ სახელმწიფოს საქმეებში, უშუალოდ რომ ესაზღვრება საბჭოთა კავშირს, მიიჩნევს თავისი უშიშროების ინტერესების შელახვად.

(„პრავდა“, 19 ნოემბერი).

ხელი მოანერეს საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ხელშეკრულებას

20 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და სოციალისტური ეთიოპიის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს:

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა;

სოციალისტური ეთიოპიის სახელით — დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს მუდმივი კომიტეტის წევრები ბერხანუ ბაიე, გესესე ბოლდე კიდანი, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს ცენტრალური კომიტეტის წევრი იეზგალაშეტ გირმა, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წევრი მენგისტუ გემეჩუ, სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა

20 ნოემბერს მოსკოვიდან ტაშკენტს გაემგზავრა სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პოდპოლკოვნიკი მენგისტუ ჰაილე მარიამი, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

სოციალისტური ეთიოპიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე მენგისტუ ჰაილე მარიამს გულთბილად აცილებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეული.

ეროვნული ბანჩაიატის (პარლამენტის) თავმჯდომარეს რომ ჰარი შარმას და მასთან ერთად ჩამოსულ დეპუტატებს, გამოთქვა რწმენა, რომ მათი ჩამოსვლა სსრ კავშრში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ნეპალის პარლამენტართა შორის კონტაქტების განვითარებას, ყოველმხრივი ურთიერთობის გაფართოებას.

საუბრის დროს ბ. გ. გილაშვილმა სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურა და საქმიანობა, საქართველოს სსრ ეკონომიკა და კულტურა.

რამ ჰარი შარმამ აღნიშნა, რომ საქართველოში ჩამოსვლა ფრიად სასარგებლოდ მიაჩნია, რადგან ახლა წარმოდგება ექნება მისი მრავალფეროვანი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე.

— ჩვენ უდიდეს ქმაყოფილებას გვანიჭებს იმის შეგნება, — განაცხადა ბანჩაიატის დეპუტატმა დამბარ ნარიიან იადავმა, — რომ ნეპალს საბჭოთა კავშირის იდეტური პოზიცია უკავია მშვიდობის შენარჩუნების საკითხებში.

ილაპარაკა რა თავისი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის გზებზე, დეპუტატმა იადავმა ხაზგასმით აღნიშნა ქმედითი დახმარება, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ნეპალს. „ჩვენში ამ დახმარებას დიდად აფასებენ. მოხარული ვართ, რომ საბჭოთა კავშირთან, მის ხალხთან ასეთი კარგი ურთიერთობა გვაქვს“, — თქვა მან.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ს. ეფდოკიმენკო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ხ. ციციშვილი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგის მოადგილე ი. ი. კლიმენკო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. ჭიჭინაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე ჯ. ა. ჭიბაშვილი, საკავშირო საიქციო საზოგადოების „ინტურისტის“ თბილისის განყოფილების მმართველი ზ. პ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. გ. გილაშვილმა 20 ნოემბერს მიიღო ნეპალის პარლამენტართა დელეგაცია. იგი მიესალმა დელეგაციის მეთაურს — ეროვნული ბანჩაიატის (პარლამენტის) თავმჯდომარეს რომ ჰარი შარმას და მასთან ერთად ჩამოსულ დეპუტატებს, გამოთქვა რწმენა, რომ მათი ჩამოსვლა სსრ კავშრში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ნეპალის პარლამენტართა შორის კონტაქტების განვითარებას, ყოველმხრივი ურთიერთობის გაფართოებას.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ორი რაიონის მშრომელთა მიღწევების შესახებ ილაპარაკეს პარტიის მაბარაძის რაიონის პირველმა მდივანმა დ. დვალიშვილმა და გენინრესის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. იუდინმა.

ორი შეჯიბრებული რაიონის მეგობრობისა და ძმური ურთიერთდახმარების შესანიშნავი ფაქტები დასახელეს სოფელ შრომის ს. ორკონიკაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა მ. ორაგველიძემ, სოფელ ნატნების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. წითლიძემ, მე-18 არმიის სარდლის ვაჟმა პოლკოვნიკმა ო. ლესელიძემ და სხვებმა.

ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოს მონაწილეებმა უდიდესი აღფაფრთოვანებით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

მისასალმებელი წერილები გაუგზავნეს აგრეთვე უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

21 ნოემბერს უკრაინის წარმოგზავნილნი თბილისს გაემგზავრნენ. (საქინფორმი).

სურათზე: ხელშეკრულების ხელმოწერის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ მოსკოვიდან ტაშკენტს გაემგზავრა სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პოდპოლკოვნიკი მენგისტუ ჰაილე მარიამი, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

სოციალისტური ეთიოპიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე მენგისტუ ჰაილე მარიამს გულთბილად აცილებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირები.

საფრენ მოედანზე ჩამოკრებული იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული. ლ. ი. ბრეჟნევმა და მენგისტუ ჰაილე მარიამმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყრივს. ესწარეს ოფიციალურ ეთიოპიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ტაშკენტში სტუმარს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ

ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

МУЗЫКАЛЬНОЕ ИСКУССТВО ГРУЗИИ

МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ И СОЮЗ КОМПОЗИТОРОВ ГРУЗИИ

МОСКВА 20-26 XI 78

გუშინ მოსკოვში, კომპოზიტორთა ცენტრალური სახლის დარბაზში გაიმართა საქართველოს მუსიკალური ხელოვნების კვირეულისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია, რომლის ინიციატორები იყვნენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი და რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო.

პრესკონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ ეს სპასუხო ვიზიტია მას შემდეგ, რაც საქართველოში დიდი წარმატებით ჩატარდა რუსული საბჭოთა მუსიკის დღეები. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი რუსული და ქართული მუსიკალური კულტურების ტრადიციულ მეგობრობას, რომელიც დიდი ხანია გრძელდება.

გამოვიდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გ. ორჯონიკიძე, რომელმაც თქვა: ქართული მუსიკის კვირეულის მიზანია მოსკოველ მსმენელს გააცნოს ქართველ კომპოზიტორთა ყველა თაობის შემოქმედება; ასე ფართოდ ქართული მუსიკა დედაქალაქშიც არ ყოფილა წარმოდგენილი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის შემდეგ, რომელსაც უკვე 20 წელი გავაშორებს.

პრესკონფერენციას დაესწრნენ მოსკოვის მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რადიოს, ტელევიზიისა და პრესის მუშაკები.

ჩვენ ინტერვიუ ვთხოვეთ რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს კომპოზიტორ ს. ტულიკოვს:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მეგობრებო! ერთი კვირის განმავლობაში ქართული მუსიკალური ხელოვნების ოსტატები თავის ხელოვნებას უჩვენებენ მოსკოველებს, რომლებსაც, მჯერა, დიდი წარმატება ექნება. ჩვენ განსაკუთრებული მოლოდინებით ველით ქართული ფოლკლორული მუსიკის კონცერტს, კარგად გვახსოვს ის შეფასება და აღტაცება, რომელიც გამოთქვა ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ ი. სტრავინსკიმ: ქართული პოლიფონიური მუსიკა საბჭოთა ხალხების მუსიკალური ხელოვნების ოქროს ფონდის შენაძენია.

აი რა გვითხრა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 25 ნოემბერს გნესინების სახელმწიფო მუსიკალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართება საქართველოს ახალგაზრდა კომპოზიტორთა კონცერტი.

გარდა ამისა კონსერვატორიის დიდ დარბაზში 23 ნოემბერს დანიშნულია ქართული სიმფონიური მუსიკის დამატებითი კონცერტი. პირველ განყოფილებაში შესრულდება ა. შავერზაშვილის, შ. შველიძის, თ. მაღლოხაშვილის ნაწარმოებები, ხოლო მეორე განყოფილებაში — ო. თაქთაქიშვილის და ა. მაჭავარიანისა.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ხარკოვის სიმფონიური ორკესტრი საკავშირო კონკურსის ლაურეატის ვ. ყორდანის დირიჟორობით.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

Კ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

ᲜᲔᲞᲐᲚᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ ტაშკენტიდან თბილისს ჩამოვიდა ნეპალის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით არის ჩვენს ქვეყანაში. დელეგაციას მეთაურობს ეროვნული ბანჩაიატის (პარლამენტის) თავმჯდომარე რომ ჰარი შარმა.

მოგზაურობის დროს დელეგაციას ახლავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ს. ეფდოკიმენკო.

აეროპორტში სტუმრებს დახვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ხ. ციციშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. ჭიჭინაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე ჯ. ა. ჭიბაშვილი, საკავშირო საიქციო საზოგადოების „ინტურისტის“ თბილისის განყოფილების მმართველი ზ. პ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. გ. გილაშვილმა 20 ნოემბერს მიიღო ნეპალის პარლამენტართა დელეგაცია. იგი მიესალმა დელეგაციის მეთაურს — ეროვნული ბანჩაიატის (პარლამენტის) თავმჯდომარეს რომ ჰარი შარმას და მასთან ერთად ჩამოსულ დეპუტატებს, გამოთქვა რწმენა, რომ მათი ჩამოსვლა სსრ კავშრში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ნეპალის პარლამენტართა შორის კონტაქტების განვითარებას, ყოველმხრივი ურთიერთობის გაფართოებას.

საუბრის დროს ბ. გ. გილაშვილმა სტუმრებს გააცნო რესპუბ-

ᲐᲘ ᲠᲐᲡ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲠᲐᲡ ᲛᲝᲘᲡᲛᲔᲜᲔᲗ

გუშინ მოსკოვში დაიწყო საქართველოს მუსიკალური ხელოვნების კვირეული. პროგრამა მეტად ტევადი და საინტერესოა. **გუშინ, დღეს და 22 ნოემბერს** მოსკოვის ოპერეტის თეატრი ეთმობა რ. გაბიჩვაძის ბალეტ „მედეას“, **21 ნოემბერს** ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება ქართული საგუნდო მუსიკის კონცერტი, **22 ნოემბერს** ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ქართული ფოლკლორული მუსიკის კონცერტს მოუსმენენ მოსკოველები. **23 ნოემბერს** კი კომპოზიტორთა ცენტრალურ სახლში დანიშნულია ქართული კამერული მუსიკის კონცერტი.

ამავე დღეს მოსკოვის ესტრადის თეატრის სცენაზე თავის ხელოვნებას უჩვენებენ ქართული საესტრადო მუსიკის ოსტატები. **24 ნოემბერს** მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი. **25 ნოემბერს** გნესინების სახელმწიფო მუსიკალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართება საქართველოს ახალგაზრდა კომპოზიტორთა კონცერტი.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

Კ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

მშენებლობაზე — შეუნელებელი ყურადღება!

მკვიდრად, ხარისხიანად!

რესპუბლიკის მშენებელთა ცხოვრებაში ამ ბოლო დროს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იულისის პლენუმმა სასოფლო მშენებლობის საკითხები, უშუალოდ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებთან ერთად განიხილა და მას ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში სპეციალური თავიც კი მიუძღვნა. ამაევე თვალსაზრისით განიხილა აგრეთვე სასოფლო მშენებლობის საკითხები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იულისის პლენუმმაც. ხოლო პლენუმი, რომელიც დღეს იწყება მუშაობას, სპეციალურად ეძღვნება რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის საკითხებს.

ყოველივე ეს თავისთავად მეტყველებს ერთი მხრივ იმ დიდ მნიშვნელობაზე, რაც კაპიტალურ მშენებლობას ენიჭება სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში და, მეორე მხრივ, იმ დიდ ყურადღებაზე, ზრუნვასა და დაფასებაზე, რასაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იჩენენ ამ დარგისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა გაერთიანებულ სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ მშენებლობის აქტუალურ საკითხებს და მათ გადასაწყვეტად სახიერ კონკრეტულ ღონისძიებებს. დიდ დახმარებას გვიწევენ მშენებლობის საკითხების ოპერატიული გადაწყვეტის კომისიები, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული შტაბები. მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა ადგილებზე პირადად საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს აქვთ დავალებული. ერთი სიტყვით, მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში უპირველეს საქმედ არის გამოცხადებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო მშენებლობა, როგორც სახალხო მეურნეობის ახალი დარგი, რესპუბლიკაში სტაბილურად, მზარდი ტემპით გითარდება.

1971 წლთან შედარებით 1977 წელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდის ტემპი თუკი საერთოდ რესპუბლიკაში შეადგენდა 127 პროცენტს და საკავშირო სასოფლო მშენებლობის სისტემაში 129 პროცენტს, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროში ამ მაჩვენებელმა 220 პროცენტს მიაღწია. თუკი საკავშირო სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემა 1978 წელს 1987 წელთან შედარებით გაიზარდა 2,4-ჯერ, ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სისტემა გაიზარდა თითქმის ოთხჯერ, რითაც ერთ-ერთ უკანასკნელი ადგილიდან, რაც ჩვენ საკავშირო მასშტაბით გვიკავია, კარგა ხანია მე-6 ადგილი დაიმკვიდრეთ.

შესაბამისი ტემპით იზრდება შრომის ნაყოფიერება როგორც მშენებლობაში, ისე მრეწველობაში.

სამინისტროს სისტემაში, რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად გაუმჯობესდა ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. გაიზარდა მშენებლობაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დონე, ფართო მასშტაბით ინერგება მსუბუქი, ეფექტიანი მასალები და კონსტრუქციები, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია. საწარმოო-საფინანსო დისციპლინა, ტექნიკური აღჭურვილობა და მისი გამოყენება.

ამჟამად რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სისტემაში თავმოყრილია 250-მდე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია და საწარმო, რომლებშიც ათასობით მუშამოსამსახურეა დასაქმებული. მიმდინარე წელს ჩვენ ასრულებთ ოთხნახევრით 190 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, ხოლო მთლიანად მეათე ხუთწლედში შესრულებული იქნება თითქმის მილიარდი მანეთის სამუშაოები.

რესპუბლიკის სასოფლო მშენებლებმა წარმატებით მიაღწიეს მიათე ხუთწლეულის პირველი ნახევრის მიზნებს, ორწელიწადნახევრის განმავლობაში გეგმის გადამეტებით შესრულებულია 2,6 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

წარმატებით მიმდინარეობს მეათე ხუთწლედის მესამე წლის გეგმისა და ვალდებულებათა შესრულება. 1978 წლის 10 თვის საიჯარო სამუშაოების გეგმა შესრულებულია, მიღწეულია ზრდის ტემპი — 16 პროცენტი. ასევე წარმატებით სრულდება სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა. შესრულება შეადგენს 105 პროცენტს, ხოლო ზრდის ტემპი 13 პროცენტს.



10 თვის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა სახალხო მეურნეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კომპლექსები და სადგომები 12 ათასი სულისათვის, საღორეები 11 ათასა სულისათვის, მეფრინველეობის სადგომები 5 ათასი სულისათვის, მეფრინველეობის ობიექტები 365 ათასი ფრთისათვის, 5,3 ათას ტონაჟეგადობის მინერალური სასუქების საწყობები, 5,4 ათასი ტონა ტევადობის ხორბლის საცავები, 7,2 ათასი ტონა სამყაურის ჩაის თაბრიკები, 7 ათასი ტონა მწარმოებლობის ღვინის ქარხანა და სხვა საწარმოო დანიშნულების ობიექტები.

მიუხედავად ამისა წლის დარჩენილ პერიოდში ჩასაბარებელია სამძლავრეები თბილისის ოდენაკი, რამდენიც ჩაბარდა 10 თვეში, მათ შორის ისეთი ობიექტები, როგორიც არის წისქვილი და ელევატორი კიკეთში, მეფრინველეობის და მესაქონლეობის კომპლექსები თეთრწყაროში, აბაშაში, წიფელწყაროში, სამტრედიაში, ობაბაში, ზნაურაში და სხვა.

ამ დღეებში კიდევ ერთხელ შემოვიარეთ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები და დავრწმუნდით, რომ ყველანაირ სახარბიელო მდგომარეობა როდია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ დამტკიცებულმა შტაბებმა შემაკავეთ ორგანიზაციებთან და ჩვენთან ერთად კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში აშკარად საფრთხის წინაშეა ზოგიერთი ობიექტის წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადაცემა.

მართალია, წარმატებით შესრულდა სასაკლაო მშენებლობის გეგმა, მაგრამ ჩამორჩენა გვაქვს საბინაო დს სამაგიერო ბაღების მშენებლობაში, ჩამორიგებდა ლონისძიებანი არსებულ ჩამორჩენის აღმოფხვრაზე.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს, რომ მიმდინარე წლის დარჩენილ დროში არა მარტო

შევასრულოთ წლიური გეგმა-ვალდებულება, არამედ მნიშვნელოვანწილად გადავაჭარბოთ როგორც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ისე სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმები.

მაგრამ ამასთანავე გვესმის, რომ ამოცანები ჩვენ წინაშე მომავალში უფრო იზრდება და რთულდება, სწორედ ამაზე გააბჭელეს ჩვენი ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის და მიმდინარე წლის იულისის პლენუმებზე.

ნაკლოვანებები, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, გეგმა არ სრულდება ყველა შემკვეთისა და ობიექტის მიხედვით, ღიღია დაუმთავრებელი წარმოების მოცულობა. ჭიანურდება ზოგიერთი ობიექტების მშენებლობის ვადები, ეხლედან უხარისხობის, წარმატებების და გადახარჯვების, ფაქტებს. დაბალია ეკონომიკურ-ფინანსური მუშაობის დონე და სხვა.

ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ისიც, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ავიღეთ ნამდვილ არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს. ჯერ იქნა და ჯერ მიეფარეთ ნაკისრი ვალდებულების შესრულების იმ ნაწილში, რომ ეიმუშაოთ ოჩამორჩენლებად, რომელთა რაოდენობა არცთუ ისე მცირეა. განვლილ 10 თვეში გეგმის შესრულებას მათ დაეკლეს 8 მილიონამდე მანეთი. ჯერ კიდევ ღიდია სამუშაო ფრონტის მოცულობები და ფინანსურგები, ნაკლებად ინერგება შრომის მოწინავე მეთოდები, დაბალია წარმოების კულტურა,

მაშინ, როდესაც ლაბორატორიული რესურსების ნაკლებობაზე, ჩვენ ამავე დროს უყურადღოდ ვხარჯავთ ამ რესურსებს, არ ეიწესებთ ჯეროვან კონტროლს მათი ხარჯვის ნორმების დაცვისადმი.

სამინისტრომ დაამუშავა თავისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი მიმდინარე და მომავალი ხუთწლედისათვის.

პირველ საკითხად მიგიჩნია მშენებლობის წარმოების აფექტიანობა და მისი ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის ფართოდ დანერგვა.

ეს საკითხები ამ რამდენიმე ხნის წინ განხილულ იქნა რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სპეციალურ თათბირ-სემინარზე.

ამ თათბირ-სემინარზე განხილული იყო საწარმოო დანიშნულების ობიექტებისათვის მსუბუქი, ეფექტიანი კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების საკითხი.

საქმე ის არის, რომ თანახმად არსებული ტიპური პროექტებისა, ამჟამად მათი მშენებლობა მიმდინარეობს მძიმე წონის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით, რაც აძვირებს მშენებლობას და ფუჭვევს დიდი რაოდენობის მუშახელის, მასალებისა და სატრანსპორტო რესურსების ხარჯვას.

თუ აქამდე მშენებლობის პროგრესის საზომად მილიონი მანეთის ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოზე დიდძალი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენება იყო მიჩნეული, ახლა უკვე ეს მონაცემები არ ჩაითვლება პროგრესულად მაჩვენებლად, რადგან მშენებლობის პროგრესულობა ოპერაციულად დამოკიდებულია შენობის წონის შემცირებაზე, რასაც მსუბუქი პროგრესული კონსტრუქციების დანერგვის გზით ეხება მიგიაღწიოთ.

სსრ კავშირის სახმშენის რჩევით თბილისში რკინა-ბეტონის პოლიგონზე ავითვისეთ და იქვე ავაშენეთ საწარმოო დანიშნულების ექსპერიმენტული შენობის ფრაგმენტი, რომლის საგანე 18 და სიმაღლე 9 მეტრია. შენობა აგებულია რკინა-ბეტონის ორმაგი სიმრუდის თაღოვანი ანაკრები გარსით, რომლის სისქე მხოლოდ 4-5 სანტიმეტრია. ასეთი ნაკეთობით შენობის აგებისას სრულიად გამორიცხულია. კედლის წყობა, კოლონებისა და სხვა მზიდავი კონსტრუქციების გამოყენება. ამასთან ნაგებობა მსუბუქდება ორჯერ, ლითონის ხარჯი ხუთჯერ მცირდება, შრომითი დანახარჯები კი ორჯერ.

თათბირ-სემინარმა ამგვარი ნაკეთობის გამოყენება რეკომენდებულად მიიჩნია და გამოთქვა აზრი, რომ მომავალში მასობრივად დანერგოს. ამისათვის კი საჭიროა, რომ საპროექტო ორგანიზაციებმა სასწრაფოდ დაამუშაონ სხვადასხვა საწარმოო დანიშნულების ობიექტების პროექტები, უპირველესად მინერალური სასუქების საწყობების, ბანქანა-ინარიების, ბილბოსტნეულის და ბოლის შესანახი ფარფლების ასაშენებლად.

მეორე საკითხად — კაპიტალური მშენებლობის შემდგომი გაუმჯობესების გზებზე მიგვიჩნია სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის თაობაზე პარტიის XXV ყრილობის, პარტიისა და მთავრობის შემდგომ გაიაზრებულებათა დროული და სწორი განხორციელება. ჩვენ ამ დარგში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განვახორციელეთ. კერძოდ, სახელმწიფო და საკავშირეთათვის საკავშირო ორგანიზაციების ძალებს გაერთიანებამ საშუალება მოგვცა სასოფლო მშენებლობაში გაგვეტარებინა ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა.

ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი სრულყოფის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად მიგვიჩნია სამეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციების შექმნა, რაზეც ჩვენ ახლა ვმუშაობთ.

სპეციალიზაცია ეწევა ორეფექტიანი თვით სამინისტროს სისტემაში, სპეციალურ სამონტაჟო სამუშაოებს თავი მოვიყარეთ ამისათვის შექმნილ ორ ტრესტში. ხოლო სასოფლო მეურნეობათა მშენებლობას — სპეციალიზებულ ტრესტში. ვაბორციელებ და ეს ცენტრალური კომიტეტის იულისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ჩვენ ორ-შემქმნილია საგზაო მშენებლობის ტრესტი, სადაც თავს მოიყრის რესპუბლიკის სასოფლო გზების მშენებლობის მოცილ მოცულობა, რაც, როგორც გამოირკვა, არც ისე მცირეა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად რესპუბლიკაში სოფლად შექმნილია მშენებლობის ერთიანი მწყობრი სისტემა. ასეთ ვითარებაში სრულიად ზედმეტად მიგვიჩნია შექმნას კიდევ რაღაც ახალი ორგანიზაციები სასოფლო მშენებლობის ხაზით, მით უმეტეს, რომ ზემდგომი ორგანოების ოპერენლებები მოითხოვს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების შემდგომ სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას.

უკვე გამოიკვეთა მიმდინარე ხუთწლედის პირველი სამი წლის შედეგები. დარბით მოგეხსენებოთ ენება ჩათვალოს, რომ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საიჯარო სამუშაოების სამი წლის გეგმების ჯამი გაკეთებით მეტია, ვიდრე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს. მოსალოდნელია ბუთწლიანი გეგმის შესრულება 101,5 პროცენტით და წლიური გეგმების ჯამი კი — 100,7 პროცენტი, ასევე მეტეწილობაში სასაკონლო პროდუქციის ჯამობრივის ხუთწლიანი გეგმა შესრულდება 112 პროცენტით და წლიური გეგმის ჯამი 106 პროცენტით. მეცხრე ხუთწლედის სამ წელთან შედარებით მშენებლობაში მიღწეული იქნება ზრდის ტემპი 193 პროცენტი და მრეწველობაში — 268 პროცენტი.

1979 წლის საიჯარო სამუშაოების გეგმა უკვე ცნობილია, იგი ორას ხუთ მილიონზე მეტს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ ზრდის ტემპი ხუთწლიან გეგმასთან შედარებით შეადგენს 10 პროცენტს და მიმდინარე წლის ფაქტიურთან შედარებით 8 პროცენტს.

ძალისა და ენერგიის არ დაეზოგავთ ჩვენი მაღლიანი სოფლების აშენებისა და ლამაზებისათვის ბიერ დამზადებული ექსპერიმენტული ორმაგი ხიმრუდის თაღოვანი ანაკრები გარსი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და სოციალისტური ეთიოპიის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება

პრეამბულა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და სოციალისტურმა ეთიოპიამ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათ შორის დამყარებული მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ძირეულ ეროვნულ ინტერესებს და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრების საქმეს,

სურთ თავიანთი შესაბამისი წვლილი შეიტანონ სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში,

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განავითარონ საბჭოთა და ეთიოპი ხალხების სოციალისტური და ეკონომიკური მიდწევები,

ფართს ასხამთ იმპერიალიზმისა და ექსპანსიონიზმის, აგრეთვე კოლონიალიზმის, რასიზმის, აპარტეიდის ყველა ფორმისა და გამოვლინების წინააღმდეგ თანამიმდევრული ბრძოლის იდეალები და ხელმძღვანელობენ მისწრაფებით მხარი დაუჭირონ თავიანთი თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ ხალხებს,

ადასტურებენ, რომ ერთგულნი არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნების და პრინციპებისა, მათ შორის, ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებისა,

ითვალისწინებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და სოციალისტური ეთიოპიის მეგობრული ურთიერთობის ღა თანამშრომლობის საფუძვლების 1977 წლის 6 მაისის დეკლარაციას და ამოძრავებთ მისწრაფება კიდევ უფრო მეტად განამტკიცონ ორ სახელმწიფოსა და ხალხს შორის მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ეს ურთიერთობა,

დათქვეს შემდეგი:

მუხლი 1

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განავითარებენ და გააღრმავებენ ორმხრივი მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობას პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ-კულტურულ, კულტურულ და სხვა დარგებში თანასწორუფლებიანობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის პატივისცემის საფუძველზე.

მუხლი 2

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აცხადებენ, რომ ისინი მჭიდროდ და ყოველმხრივ ითანამშრომლებენ, რათა უზრუნველყონ პირობები თავიანთი ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური მონაპოვრების შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისათვის. მთელ მათს მუნებრივ რესურსებზე თავისუფალი მათგანის სუვერენიტეტის პატივისცემისათვის.

მუხლი 3

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი პატივს სცემს სოციალისტური ეთიოპიის პოლიტიკას, რომლის საფუძველია აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების და მშვიდობიანი თანაარსებობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორის — პეიუმსრობლობის მოძრაობის მიზნები და პრინციპები.

სოციალისტური ეთიოპია პატივს სცემს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია განამტკიცოს მეგობრობა და თანამშრომლობა ყველა ქვეყანასთან და ხალხთან.

მუხლი 4

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კვლავაც ყველაფერს იღონებენ, რათა დაიცვან საერთაშორისო მშვიდობა და ხალხთა უშიშროება, გააღრმაონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი, გააკრცელონ იგი მსოფლიოს ყველა რაიონზე. ბორცი შეასხან მას სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კონკრეტული ფორმებით, ხელი შეუწყონ საერთაშორისო სადავო საკითხების მოწესრიგებას მშვიდობიანი საშუალებებით სახელმწიფოთა ამ ინონერი უფლებების უფნებლად, რომ ღაიცვან თავი აგრესიის წინააღმდეგ ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საფუძველზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. ისინი აქტიურად შეუწყობენ ხელს საყოველთაო და სრულ განიარაღებას, მათ შორის, ბირთვულ განიარაღებას ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით.

მუხლი 5

